



განმცხადებელი (დამინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01233553841 განცხადების თარიღი: 21.12.2023
ხელმოწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

საკრებულოს დადგენილებების პროექტების გაგზავნა

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-01233553841**
თარიღი: **21/12/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებათა პროექტებს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“, აგრეთვე „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი აქტების მოწონების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 21 დეკემბრის №23.2064.2283 განკარგულებას.

დანართი: RAR-ის ერთი ფაილი.

პატივისცემით,

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 23.2064.2283
21 / დეკემბერი / 2023 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგი აქტების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „ბ.ა“, „დ.გ“ და „ე.ე⁴“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს:

ა) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №333-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) „სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 3-ის შესაბამისად;

დ) „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო



სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართი 4-ის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტები წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №-----

2023 წლის -----

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების (ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 28/01/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016675) მე-2 მუხლით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დებულებაში და დებულების მე-8 მუხლის:

ა) მე-10 პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ“ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125² და 135² მუხლებით, 135³ მუხლის მე-2 ნაწილით და 135⁴ მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენა;

ე) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125² და 135² მუხლებით, 135³ მუხლის მე-2 ნაწილით და 135⁴ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირება, საქმის გამოკვლევა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერა;“;

ბ) მე-15 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა¹“ ქვეპუნქტი

„ა¹) მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M₁ კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის მფლობელისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის გაწევისას გამოვლენილი

სამართალდარღვევისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერა“;

გ) მე-15 პუნქტის „თ¹“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ¹) უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის შემდეგ, როდესაც სატრანსპორტო საშუალება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის მონიტორინგის სამსახურისთვის მიწოდება“;

დ) მე-20 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ¹“ ქვეპუნქტი.

„პ¹) სააგენტოს მიერ უფლებამოსილების ფარგლებში დაჯარიმებული ან/და სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციის გაცემა სააგენტოს ცხელი ხაზის -1398 მეშვეობით“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №52-1 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები – სამსახურები, მათი უფლებამოსილებების ფარგლებში კოორდინირებულად მოქმედებენ სააგენტოს მიერ ფუნქციების შესრულების საქმეში.

წარმოდგენილი პროექტით ხდება სააგენტოს რიგი სამსახურების უფლებამოსილებათა დაზუსტება. კერძოდ მონიტორინგის სამსახურს ემატება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135² მუხლით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების, აგრეთვე ამავე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებისას საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის/გამოწერის ფუნქცია. რაც შეეხება ვიდეოფირით ან/და ფოტოფირით დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სამსახურს, კონკრეტდება, რომ მონიტორინგის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანაზე ნებართვის მფლობელისთვის განსაზღვრული სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის გაწევისას გამოვლენილი სამართალდარღვევისას ვიდეოფირით ან/და ფოტოფირით დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სამსახური ახორციელებს საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერას, აგრეთვე ამ სამსახურის მიერ უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოწერის შემდეგ, როდესაც სატრანსპორტო საშუალებება ექვემდებარება სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანას, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი ინფორმაციის მონიტორინგის სამსახურისთვის მიწოდებას.

დაგროვებული გამოცდილების გათვალისწინებით მიზანშეწონილია სააგენტოს მიერ უფლებამოსილების ფარგლებში დაჯარიმებული ან/და სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანილი სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაციის გაცემა განახორციელოს სანებართვო-ანალიტიკურმა სამსახურმა, ვინაიდან ცხელი ხაზის მიერ მოქალაქეებზე გასაცემი ინფორმაცია თავმოყრილია და ინახება ამ სამსახურში.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:
დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

2023 წლის --- -----

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.


„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შევიდეს ცვლილება და დადგენილების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტით დამტკიცებული დანართი 3 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ლურჯი



ყვითელი



მწვანე

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილებები შედის იმ მიზეზით, რომ მძღოლებისთვის უფრო ხილვადი და ადვილად იდენტიფიცირებადი იყოს ზონალური პარკირების ის ადგილი, სადაც მოახდინა სატრანსპორტო საშუალების დგომა.

შემოთავაზებული ცვლილება უზრუნველყოფს იმგვარი ალტერნატიული საგზაო მონიშვნის დამატებას, რომლებიც გაუადვილებს მძღოლებს ზონალური პარკირების არეალების იდენტიფიცირებას. კერძოდ, იმ ადგილებში, სადაც გზა ემიჯნება ტროტუარს, მანქანის გაჩერების შემდგომ მძღოლები სწორედ ტროტუარზე აგრძელებენ სვლას. შესაბამისად, ბორდიურის ფილაზე განთავსებული საგზაო მონიშვნა საუკეთესო საშუალება გახდება პარკირების ადგილების იდენტიფიცირების საქმეში.

ბ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედებისთვის არ არის საჭირო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი სახსრების გათვალისწინება.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №-----

2023 წლის -----

ქ. თბილისი

სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 22-ე მუხლების, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 33-ე და 67¹ პუნქტების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135⁵ მუხლის მე-2 ნაწილის, „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №4 დადგენილების, „ტექნიკური რეგლამენტის – სატრანსპორტო საშუალებისა და ავტონაწილების ტიპის დამტკიცების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 იანვრის №15 დადგენილების შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

- ა) ავტობუსებისათვის (M₂ ან M₃ კატეგორიის) სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების წესი, დანართი 1-ის შესაბამისად;
- ბ) მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტები, დანართი 2-ის შესაბამისად.
- გ) დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტები, დანართი 3-ის შესაბამისად.

მუხლი 2

1. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.
2. დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტები“, მისი შეთანხმების წესი და პირობები მოქმედებს 2024 წლის 1 ივლისამდე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

„სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცებისთვის წესის განსაზღვრისა და მარშრუტების დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება სპეციალური რეგულარული გადაყვანის (საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების, მოსწავლეების, სტუდენტების რეგულარული გადაყვანის) განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მფლობელობაში არსებული ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის:

- 135⁵ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სპეციალური რეგულარული გადაყვანის (ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების, მოსწავლეების, სტუდენტების რეგულარული გადაყვანის) განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მფლობელობაში არსებული ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოძრაობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული მარშრუტის დარღვევით გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით;

- 125-ე მუხლის მე-12 ნაწილის შესაბამისად სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გარდა სხვა სახის სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა, გაჩერება ან დგომა (გარდა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევაში შესაბამისი კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M₁ კატეგორია) მოძრაობისა ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერებისა) ან სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ სპეციალურ ზოლში („BUS LANE“) სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების გაჩერების ადგილზე მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M₁ კატეგორია) გაჩერება ან დგომა ან მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M₁ კატეგორია) მიერ სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილი სპეციალური ზოლის („BUS LANE“) მონიშვნის უწყვეტი ხაზის გადაკვეთა გამოიწვევს დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით.

2023 წლის 20 დეკემბერს სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში შევიდა შპს „ლილო მოლის“ გენერალური დირექტორის №302/4-23 განცხადება (მერიაში რეგისტრაციის №10/01233543835-16), რომლის მიხედვით შპს „ლილო მოლი“ არის საქართველოში ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო ცენტრი, მისი საქმიანობის საგანს წარმოადგენს მოვაჭრეთა და მომხმარებელთა მომსახურება. მგზავრთა დიდი რაოდენობიდან გამომდინარე, მათი მომსახურების, კომფორტული და უსაფრთხო სამგზავრო გადაყვანის მიზნით საჭიროა განხორციელდეს მათი სპეციალური რეგულარული ფასიანი გადაყვანა M₃ კატეგორიის არაუმეტეს 10 ერთეული ავტობუსით, მარშრუტით: სადგურის მოედანის ზედა გაჩერება - ლილო მოლი; ლილო მოლი - სადგურის მოედანის ზედა გაჩერება. განცხადებით წარმოდგენილია ავტობუსების მძღოლების მონაცემები, ავტობუსების გადაადგილების მარშრუტს ქუჩების/გამზირების მითითებით და შპს „ლილო მოლი“ სააგენტომ შეითანხმოს აღნიშნული მეწარმე სუბიექტის მიერ მგზავრთა სპეციალური რეგულარული გადაყვანა ისე, რომ მარშრუტები არ მოიცავდეს სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ

სპეციალურ ზოლ(ებ)ს „BUS LANE“ „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრის გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის №4 დადგენილებით დამტკიცებული წესის იმ მუხლების შესაბამისად, რომლებიც ადგენს მოთხოვნებს სპეციალური რეგულარული გადაყვანის მიმართ, ხოლო გადაყვანის საწყისი და საბოლოო პუნქტები განსაზღვრული იქნება „ტექნიკური რეგლამენტის „ავტოსადგურის და ავტოსადგომის ფუნქციონირების წესისა და პირობების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №442 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად მოწყობილი ავტოსადგურებიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ავტოსადგურსა და შპს „ლილო მოლს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში. ამასთან, განცხადების მიხედვით, კომპანია, რომელიც უშუალოდ მოახდენს მგზავრთა გადაყვანას და ოპერირებას, სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსების (M₂ კატეგორიის) ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოძრაობისას დადგენილი მარშრუტის დარღვევის და სხვა მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, აცნობიერებს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მომზადდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლითაც მტკიცდება ავტობუსებისათვის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცების წესი, აგრეთვე მოსწავლეების და დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტები. მარშრუტების დამტკიცების წესი განსაზღვრავს სპეციალური რეგულარული გადაყვანის ავტობუსებისათვის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტების დამტკიცების მიზნით წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას, წარდგენილი დოკუმენტების განხილვის პირობებს, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების წესს, პასუხისმგებლობას დამტკიცებული მარშრუტის დარღვევის შემთხვევაში.

პროექტით საკრებულოს დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან, ხოლო „მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) მარშრუტები“, მისი შეთანხმების წესი და პირობები იმოქმედებს 2024 წლის 1 ივლისამდე.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:
დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

ავტობუსებისათვის (M₂ ან M₃ კატეგორიის) სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ეს წესი განსაზღვრავს სპეციალური რეგულარული გადაყვანის ავტობუსებისათვის (M₂ ან M₃ კატეგორიის) (შემდგომში - ავტობუსი) მარშრუტების დამტკიცების მიზნით წარსადგენი დოკუმენტების ნუსხას, წარდგენილი დოკუმენტების განხილვის პირობებს, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების წესს, პასუხისმგებლობას დამტკიცებული მარშრუტის დარღვევის შემთხვევაში.

მუხლი 2. სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი წერილობითი განცხადებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ გაცემული ავტორიზაციის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება;

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გადასაცემი მოსწავლეების რაოდენობა;

გ) ავტობუს(ებ)ის სარეგისტრაციო მოწმობა (აგრეთვე ამ ავტობუს(ებ)ით მომსახურების განხორციელების შეუძლებლობისას იმ სარეზერვო ავტობუს(ებ)ის სარეგისტრაციო ნომრები, რომლებითაც განხორციელდება ავტობუს(ებ)ის ჩანაცვლება);

დ) ავტობუსის მძღოლის მონაცემები, მათ შორის შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა;

ე) სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტ(ებ)ი ქუჩების/გამზირების მითითებით, მათ შორის სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში („BUS LANE“) ავტობუს(ებ)ის გადაადგილების მითითებით;

ვ) ავტობუს(ებ)ის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების წარმატებით გავლის დამადასტურებელი მოწმობა;

ზ) ავტობუს(ებ)ის ვიზუალური მდგომარეობის ამსახველი ფოტოები, ამასთან ავტობუს(ებ)ის ვიზუალური მდგომარეობა აშკარად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მათი მეშვეობით მოსწავლეების გადაყვანის თაობაზე და ვიზუალური უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას;

თ) გადაწყვეტილების მისაღებად სააგენტოს მიერ დამატებით მოთხოვნილი აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

2. საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში დასაქმებული პირების სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით, დამსაქმებელი, წერილობითი განცხადებით, სააგენტოს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) ავტობუს(ებ)ით გადასაცემი დასაქმებულების რაოდენობა;

ბ) ავტობუს(ებ)ის სარეგისტრაციო მოწმობა (აგრეთვე ამ ავტობუს(ებ)ით მომსახურების განხორციელების შეუძლებლობისას იმ სარეზერვო ავტობუს(ებ)ის სარეგისტრაციო ნომრები, რომლებითაც განხორციელდება ავტობუს(ებ)ის ჩანაცვლება);

გ) ავტობუსის მძღოლის მონაცემები, მათ შორის შესაბამისი კატეგორიის მართვის მოწმობა;

დ) ავტობუს(ებ)ის გადაადგილების მარშრუტი ქუჩების/გამზირების მითითებით;
ე) გადაწყვეტილების მისაღებად სააგენტოს მიერ დამატებით მოთხოვნილი აუცილებელი ნებისმიერი სხვა დოკუმენტი.

3. ამ წესით დადგენილი სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი ყოველთვიურად, არაუგვიანეს თვის 5 რიცხვისა, სააგენტოს წარუდგენს შესაბამის ინფორმაციას წინა თვეში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში გადაყვანილი მოსწავლეების რაოდენობის თაობაზე.

მუხლი 3. წარდგენილი დოკუმენტების სააგენტოს მიერ განხილვა

1. სააგენტო უფლებამოსილია დაადგინოს სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუს(ებ)ის კვოტა გადასაყვან მგზავრთა რაოდენობის გათვალისწინებით.

2. სპეციალური რეგულარული გადაყვანის მარშრუტების დამტკიცების მიზნით წარდგენილი დოკუმენტების განსახილველად სააგენტოს განესაზღვროს ვადა არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა.

მუხლი 4. სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში („BUS LANE“) მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუს(ებ)ის გადაადგილების წესი

სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში („BUS LANE“) მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსები:

ა) დასაშვებია გადაადგილდებოდნენ ყოველდღიურად, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა და შაბათ-კვირისა;

ბ) უნდა გაჩერდნენ მხოლოდ ავტობუსების (M₂ და M₃ კატეგორიები) გაჩერების ადგილებზე. ამასთან, გაჩერების დრო არ უნდა აღემატებოდეს 1 წუთს;

გ) გადაყვანას უნდა ახორციელებდნენ 06:00 საათიდან 09:00 საათამდე და 14:00 საათიდან 18:00 საათამდე.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა დამტკიცებული მარშრუტის დარღვევისთვის

სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ავტობუსის (M₂ ან M₃ კატეგორიის) ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოძრაობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დამტკიცებული მარშრუტის დარღვევით გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135⁵ მუხლის შესაბამისად, ხოლო ავტობუსის მოძრაობა ამ წესით დადგენილი სხვა მოთხოვნების დარღვევით გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

	დანართი 2			
	მოსწავლეების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები			
რეგითი №	ავტობუსების მარშრუტები	ავტობუსი	ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობა	
			რაოდენობა	განრიგი
1	2	3	4	5
1		M2 ან M3		
შენიშვნა	აუცილებლობიდან გამომდინარე სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მფლობელობაში არსებული ავტობუსის (M ₂ ან M ₃ კატეგორიის) ჩანაცვლების ან მარშრუტის კორექტირების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭოს უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ავტობუსის (M ₂ ან M ₃ კატეგორიის) ჩანაცვლება ან მარშრუტის კორექტირება, ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე.			

	დანართი 3			
	დასაქმებულების სპეციალური რეგულარული გადაყვანის განხორციელების მიზნით ავტობუსის (M2 ან M3 კატეგორიის) მარშრუტები			
რეგთი №	ავტობუსების მარშრუტები	ავტობუსი	ყოველდღიურად მომუშავე ავტობუსების რაოდენობა	
			რაოდენობა	განრიგი
1	2	3	4	5
1	რკინიგზის ავტოსადგური ზედა გაჩერება - ნიკოლოზ ხუდადოვის ქუჩა - მახათას აღმართი - იოანე ზოსიმეს ქუჩა - ჯუმბერ ლეჟავას ქუჩა - ზურაბ პატარიძის ქუჩა - ვიქტორ კუპრადის ქუჩა - ი. ზედგენიძის ქუჩა - სესილია თაყაიშვილის ქუჩა - დიმიტრი ალექსიძის ქუჩა - მიხეილ გაბოკიძის ქუჩა - კახეთის გზატკეცილი - შპს „ლილო მოლი“ - უკუმიმართულებით.	M3 კატეგორია	10	
შენიშვნა	აუცილებლობიდან გამომდინარე სპეციალური რეგულარული გადაყვანის განმახორციელებელი ფიზიკური ან იურიდიული პირის მფლობელობაში არსებული ავტობუსის (M ₂ ან M ₃ კატეგორიის) ჩანაცვლების ან მარშრუტის კორექტირების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიენიჭოს უფლებამოსილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - განკარგულებით, შესაბამისი შეზღუდული ვადით, განახორციელოს ავტობუსის (M ₂ ან M ₃ კატეგორიის) ჩანაცვლება ან მარშრუტის კორექტირება, ან განსაზღვროს დროებითი მარშრუტი/მარშრუტები ან განახორციელოს ცვლილება მარშრუტზე.			

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

2023 წლის ---- ----- ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ²“ ქვეპუნქტისა და 75-ე მუხლის „ე.ე²“ ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 22-ე მუხლების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135² მუხლის, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლის საფუძველზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში აიკრძალოს M₃, N₂ და N₃ კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები:

ა) არ ვრცელდება:

ა.ა) საჯარო დაწესებულებების საქმიანობის მიზნებისთვის მოძრავ სატრანსპორტო საშუალებაზე, რის თაობაზეც საჯარო დაწესებულება ინფორმაციას მიაწვდის მუნიციპალიტეტს;

ა.ბ) ოპერატიული ან სპეციალური სამსახურის სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე აღჭურვილია ლურჯი ან ლურჯი და წითელი მოელვარე სპეციალური ციმცირა სიგნალით;

ა.გ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ M₃ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე;

ა.დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობის მიზნებისთვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის განმახორციელებელ M₃ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებაზე, რომლითაც ბავშვის, მოსწავლის, პროფესიული სტუდენტის, მსმენელის, სტუდენტის ან/და იმავე დაწესებულების თანამშრომლის/იმავე დაწესებულებასთან შრომით ურთიერთობაში მყოფი პირის გადაყვანა ხორციელდება;

ა.ე) იმ სატრანსპორტო საშუალებაზე, რომელზედაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესით გასცა სათანადო თანხმობა და რომელიც ამ თანხმობის შესაბამისად მოძრაობს;

ა.ვ) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დათვალიერების მიზნით ტურისტული საქმიანობის განმახორციელებელ M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებზე იმ პირობით, რომ მათი მარშრუტ(ებ)ი წინასწარ არის შეთანხმებული მუნიციპალიტეტთან;

ა.ზ) საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შიდა რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემომავალ M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებზე, რომელთა მოძრაობის მარშრუტები დამტკიცებულია კანონმდებლობის შესაბამისად;

ა.თ) მუნიციპალური/სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საჭირო სატრანსპორტო საშუალებებზე;

ა.ი) კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კუთვნილ საინკასაციო ტრანსპორტზე, რომელსაც ჩართული აქვს ლურჯი ან ლურჯი და წითელი მოელვარე სპეციალური ციმცირა სიგნალი;

ა.კ) არაგეგმიური საავარიო და სიცოცხლის/ჯანმრთელობის საფრთხის შემთხვევების აღმოსაფხვრელად საჭირო სატრანსპორტო საშუალებებზე;

ა.ლ) ბეტონმზიდ მანქანებზე;

ა.მ) ნავთობპროდუქტების გადამზიდველ სატრანსპორტო საშუალებებზე - 08:00-11:00 საათების შუალედში;

ა.ნ) ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის სატრანსპორტო საშუალებით მიწოდების/ტრანსპორტირების საჭირო სატრანსპორტო საშუალებებზე - 08:00-11:00 საათების შუალედში;

ა.ო) დაგვა-დასუფთავების განმახორციელებელ სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებებზე;

ბ) არ მოქმედებს;

ბ.ა) კალენდარული წლის აგვისტოს თვეში;

ბ.ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეებში;

ბ.გ) შაბათს და კვირას.

მუხლი 2.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ჩამონათვალი, რომლებზეც ვრცელდება ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აკრძალვა (გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი გამონაკლისებისა), დამტკიცდეს დანართის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართით გათვალისწინებულის გარდა სხვა გზებზე არ ვრცელდება ამ დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა.

მუხლი 3.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ამ დადგენილებით განსაზღვრული ადგილის ან/და დროის დარღვევით გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად.

მუხლი 4.

1. ამ წესის მოთხოვნების დაუცველობისას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135² მუხლით საჯარიმო ქვითრის შედგენა ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევების აღრიცხვისა და მართვის სისტემით (Protocols), რომლის მეშვეობითაც ხორციელდება წვდომა ცალკეული გადასახადის გადამხდელის შესახებ იდენტიფიცირებულ ინფორმაციაზე.

2. საჯარიმო ქვითრის შედგენაზე უფლებამოსილი პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ პერსონალური მონაცემების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5.

1. დადგენილება ამოქმედდეს 2024 წლის პირველი იანვრიდან.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ნ“ ქვეპუნქტი ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2024 წლის პირველი სექტემბრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის

განმარტებითი ბარათი

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში-პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით სატვირთო ავტომობილით მოძრაობისთვის ან/და სატრანსპორტო საშუალებით პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის მიწოდებისთვის/ტრანსპორტირებისთვის ადგილის ან/და დროის განსაზღვრა, ხოლო 75-ე მუხლის „ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად თბილისის მთავრობა ადგენს და თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მიზნით სატვირთო ავტომობილით მოძრაობისთვის ან/და სატრანსპორტო საშუალებით პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის სამეწარმეო საქმიანობისთვის საქონლის მიწოდებისთვის/ტრანსპორტირებისთვის ადგილის ან/და დროის განსაზღვრის წესს.

საქართველოს პარლამენტის მიერ სამივე მოსმენით მიღებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135² მუხლში შესატანი ცვლილება, რომელიც ძალაში შევა 2024 წლის 1 იანვრიდან და რომლის მიხედვით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზაზე M₃, N₂ ან N₃ კატეგორიის სატრანსპორტო საშუალების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილთან ან/და დროსთან შეუსაბამო ადგილას ან/და დროს მოძრაობა გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ისე როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო საშუალების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ადგილთან ან/და დროსთან შეუსაბამო ადგილას ან/და დროს მოძრაობა იმ საქონლის ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის მიწოდების ან მის სასარგებლოდ გადატანის მიზნით, რომელიც განკუთვნილია ამ პირის მიერ სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებისთვის. ამასთან, მუხლის შენიშვნით განისაზღვრა ის სატრანსპორტო საშუალებები, რომლებზეც ვრცელდება ამ მუხლის შესაბამისი ნაწილების მოქმედება. ამავე დროს, მუხლის შენიშვნითვე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილი ხდება განსაზღვროს ის საქონელი ან/და სატრანსპორტო საშუალება, რომელზედაც ამ მუხლის შესაბამისი ნაწილების მოქმედება არ გავრცელდება, აგრეთვე დაადგინოს სათანადო წესი და განსაზღვროს იმავე ქვეპუნქტით გათვალისწინებული თანხმობის გამცემი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავდა განსახილველად წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე სხვადასხვა კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის

ადგილის ან/და დროის განსაზღვრის შესახებ“, რომლის მიხედვით: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზებზე 08:00-11:00 და 17:00-20:00 საათების შუალედში იკრძალება M_3 , N_2 და N_3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა; მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ჩამონათვალი, რომლებზეც ვრცელდება ამ დადგენილებით დადგენილი სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აკრძალვა; დგინდება იმ სატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი, რომლებზეც არ ვრცელდება ზემოაღნიშნული შეზღუდვები.

პროექტით საკრებულოს დადგენილება ამოქმედდება 2024 წლის 1 იანვრიდან.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:
დადგენილების ამოქმედებისთვის დამატებითი საბიუჯეტო სახსრები საჭირო არ არის.

გ) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):
დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

ვ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ჩამონათვალი, რომლებზეც ვრცელდება M3, N2 და N3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის აკრძალვა

ქუჩა	დაფარვის არეალი
17 შინდისელი გმირის ჩიხი	სრულად
17 შინდისელი გმირის ქ.	ნაწილობრივ
26 მაისის მოედ.	სრულად
300 არაგველის აღმ.	სრულად
300 არაგველის ჩიხი	სრულად
300 არაგველის I შეს.	სრულად
300 არაგველის II შეს.	სრულად
300 არაგველის III შეს.	სრულად
300 არაგველის ხიდი	სრულად
8 მარტის ქ.	სრულად
9 აპრილის ქ.	სრულად
აბანოს I ჩიხი	სრულად
აბანოს I შეს.	სრულად
აბანოს II შეს.	სრულად
აბანოს ქ.	ნაწილობრივ
აბასთუმნის ქ.	სრულად
აბო თბილელის ქ.	სრულად
აბუსერიძე-ტბელის I ჩიხი	სრულად
აბუსერიძე-ტბელის ქ.	სრულად
აბუსერიძე ტბელის ქ.	სრულად
ადამ მიცკევიჩის ქ.	სრულად
ადიგენის ქ.	სრულად
აეროდრომის დას. I ქ.	სრულად
აჰმედ ჯაბადის I ჩიხი	სრულად
აჰმედ ჯაბადის II ჩიხი	სრულად
აჰმედ ჯაბადის ქ.	სრულად
აჯამეთის შეს.	სრულად
აკაკი ბაქრაძის ქ.	სრულად
აკაკი ბელიაშვილის I ჩიხი	სრულად
აკაკი ბელიაშვილის II ჩიხი	სრულად
აკაკი ბელიაშვილის IV ჩიხი	სრულად
აკაკი ბელიაშვილის ქ.	სრულად
აკაკი გახოკიძის ქ.	სრულად
აკაკი შანიძის ქ.	სრულად
აკაკი სურგულაძის ქ.	ნაწილობრივ
აკაკი წერეთლის გამზ.	სრულად
აკაკი ხორავას ჩიხი	სრულად

აკაკი ხორავას ქ.	სრულად
აკეთის ქ.	სრულად
ალაზნის გას.	სრულად
ალაზნის ქ.	სრულად
ალბერტ ქართველიშვილის ქ.	ნაწილობრივ
ალეკო შენგელიას ქ.	ნაწილობრივ
ალექსანდრე ალადაშვილის ქ.	სრულად
ალექსანდრე ამილახვარის I ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ამილახვარის II ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ამილახვარის ქ.	სრულად
ალექსანდრე ანდრონიკაშვილის I ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ანდრონიკაშვილის II ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ანდრონიკაშვილის ქ.	სრულად
ალექსანდრე ახვლედიანის ქ.	სრულად
ალექსანდრე ბარამიძის ქ.	ნაწილობრივ
ალექსანდრე ბასილაიას I ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ბასილაიას I შეს.	სრულად
ალექსანდრე ბასილაიას II შეს.	სრულად
ალექსანდრე ბასილაიას ქ.	სრულად
ალექსანდრე ბოროდინის ქ.	სრულად
ალექსანდრე ჩიკვაძის I შეს.	სრულად
ალექსანდრე ჩიკვაძის ქ.	სრულად
ალექსანდრე ციმაკურიძის ქ.	სრულად
ალექსანდრე დიუმას I ჩიხი	სრულად
ალექსანდრე დიუმას II ჩიხი	სრულად
ალექსანდრე დიუმას ქ.	სრულად
ალექსანდრე გრიბოედოვის ქ.	სრულად
ალექსანდრე გრიბოედოვის შეს.	სრულად
ალექსანდრე ინაშვილის ქ.	სრულად
ალექსანდრე იოსელიანის ქ.	ნაწილობრივ
ალექსანდრე კალანდაძის ქ.	ნაწილობრივ
ალექსანდრე მრეკლიშვილის ქ.	სრულად
ალექსანდრე ნათიშვილის ქ.	სრულად
ალექსანდრე ონიანის I ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ონიანის II ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ონიანის III ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ონიანის IV ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ონიანის ქ.	სრულად
ალექსანდრე ონიანის V ჩიხი	სრულად
ალექსანდრე პუშკინის ქ.	სრულად
ალექსანდრე ქუთათელის ქ.	სრულად
ალექსანდრე შევერზაშვილის I ჩიხი	სრულად

ალექსანდრე შევერზაშვილის ქ.	სრულად
ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ჭავჭავაძის II ჩიხი	სრულად
ალექსანდრე ჭავჭავაძის ქ.	სრულად
ალექსანდრე ჭავჭავაძის შეს.	სრულად
ალექსანდრე წულუკიძის I შეს.	სრულად
ალექსანდრე წულუკიძის ქ.	ნაწილობრივ
ალექსანდრე წურწუმის ქ.	სრულად
ალექსანდრე ხახანაშვილის ქ.	სრულად
ალექსანდრე ყაზბეგის გამზ.	სრულად
ალექსი გოგოლაურის I შეს.	სრულად
ალექსი გოგოლაურის ქ.	სრულად
ალექსი მაჭავარიანის ქ.	სრულად
ალგეთის ქ.	სრულად
ალიო მირცხულავას ქ.	სრულად
ალვანის შეს.	სრულად
ამაღლების ქ.	ნაწილობრივ
ანა ანტონოვსკაიას ქ.	სრულად
ანა კალანდაძის ქ.	სრულად
ანა პოლიტკოვსკაიას ქ.	ნაწილობრივ
ანაკლიის ქ.	სრულად
